ადრეული ქორწინება

თბილისი 2016

წინამდებარე ბუკლეტი მომზადებულია
კავშირი „21- საუკუნის“ მიერ გაეროს მოსახლეობის
ფონდის (UNFPA) საქართველოს ოფისის მხარდაჭერით,
პროექტის - „რელიგიათაშორისი დიალოგისა და
ძალისხმევის მობილიზება ნაადრევი ქორწინების
პრევენციისათვის“ ფარგლებში.

გამოცემაზე მუშაობდნენ:
თ. გოგოტიშვილი
პ. გაჩეჩილაძე

ბუკლეტი დაბეჭდილია შპს „სარეკლამო ჯგუფში“

რა ასაკის ადამიანია ბავშვი?

ბავშვად მიიჩნევა ყოველი ადამიანი, რომელსაც არ მიუღწევია 18 წლის ასაკისათვის. მანამდე იგი არ არის ქმედუნარიანი, ანუ მას არ გააჩნია უნარი, თავისი ნებითა და მოქმედებით სრულად გააცნობიეროს და განახორციელოს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები.

რა არის ადრეული ქორწინება და რატომ არის ის კანონით დაუშვებელი?

საქართველოს კანონმდებლობით, ქორწინების ასაკად განსაზღვრულია 18 წელი, ასაკი, როცა პირი სრულწლოვანი ხდება. ადრეული ანუ ბავშვობის ასაკში ქორწინება, არის რეგისტრირებული ან არარეგისტრირებული კავშირი ორ ადამიანს შორის, რომელთაგან ერთ-ერთს ჯერ არ მიუღწევია სრულწლოვნებისთვის- 18 წლისთვის, ანუ არის ბავშვი.

ადრეული ქორწინება შეიძლება იყოს იძულებითი:

- მშობლების გადაწყვეტილებით/იძულებით;
- მოტაცების შედეგად;
- გარიგებით;
- გაუაზრებელი თანხმობით და სხვა.

ნებისმიერ შემთხვევაში, ადრეული ქორწინება მიიჩნევა, ზოგადად, ადამიანის უფლებებისა და, კერძოდ, ბავშვთა უფლებების დარღვევად, რადგან მიჩნეულია, რომ ბავშვს, ასაკიდან გამომდინარე, არ შესწევს უნარი, მისცეს გააზრებული თანხმობა.

საქართველოს კანონმდებლობით, 2017 წლის 1 იანვრამდე, შესაძლებელია დაშვებულ იქნას 17 წელს მიღწეული არასრულწლოვნის ქორწინება მისი ნებით და მხოლოდ სასამართლოს თანხმობით, ისეთი პატივსადები მიზეზის არსებობისას, როგორიცაა ბავშვის დაბადება. 2017 წლის 1 იანვრიდან კი ქორწინება, ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე, მხოლოდ 18 წლის ასაკიდან იქნება შესაძლებელი.

რამდენად ხშირია ადრეული ქორწინება საქართველოში?

ადრეულ ასაკში ქორწინების შემთხვევაში არსასრულწლოვანი უმეტესწილად გოგონაა.

საქართველოში ადრეული ქორწინების შემთხვევები გვხვდება როგორც ქალაქში, ასევე სოფლად, თუმცა მისი გამომწვევი მიზეზები და გარემოებები განსხვავდება ეთნიკური წარმომავლობის, რელიგიური აღმსარებლობისა და გეოგრაფიული არეალის მიხედვით. ადრეული ქორწინება განსაკუთრებით ხშირია ეთნიკური აზერბაიჯანელებითა და სომხებით დასახლებულ რეგიონებში, ასევე, მაღალმთიან აჭარაში. კვლევების თანახმად, ქორწინებაში მყოფ

ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელ ქალთაგან 32% დაქორწინდა 18 წლის ასაკამდე, 5% დაქორწინდა 13-14 წლამდე, ხოლო 16% - 15-16 წლის ასაკში.

საქართველოს კანონმდებლობით, სასულიერო პირის მიერ ჩატარებულ ქორწინების რიტუალს იურიდიული ძალა არ აქვს.

სტატისტიკური მონაცემების თანახმად, 2015 წელს საქართველოში 15-19 წლის ასაკის ყოველი 1000 მოზარდი გოგონადან 51 იყო ორსულად.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 140-ე მუხლის მიხედვით, სქესობრივი კავშირი ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედება წინასწარი შეცნობით თექვსმეტი წლის ასაკს მიუღწეველთან, ისჯება თავისუფლების აღკვეთით შვიდიდან ცხრა წლამდე.

ადრეულ ქორწინებაში მყოფი გოგონების რაოდენობა გაცილებით სჭარბობს ბიჭების რაოდენობას. ადრე დაქორწინებულ მოზარდებს ექმნებათ პრობლემები, რამაც შეიძლება გამოუსწორებელი გავლენა მოახდინოს მათ მომავალზე:

გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ მოზარდი გარდატეხის ასაკშია, რაც ადამიანის ცხოვრების ერთ-ერთი რთული პერიოდია და მისი პიროვნება, ფასეულობათა სისტემა, შინაგანი სამყარო, გადაწყვეტილების მიღების უნარი ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული.

ადრეულ ქორწინებას მძიმე შედეგები მოაქვს, როგორებიცაა სოციალური და უფლებრივი გარიყვა, საზოგადოებისგან იზოლაცია, ფსიქიკური აშლილობა, ალკოჰოლის ან ნარკოტიკების მიმართ ლტოლვა და სხვა. ადრეული ქორწინებისას გოგონები ოჯახში ძალადობის და სექსუალური ზეწოლის საფრთხის ქვეშ არიან; შედეგად ხშირია განქორწინება, აბორტი.

ძალდობის ერთ-ერთი ფორმაა გოგონას მოტაცება მასზე დაქორწინების მიზნით.

გოგონას მოტაცება ცოლად მოყვანის მიზნით ითვლება პირის თავისუფლების უკანონოდ აღკვეთად. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143-ე მუხლის მიხედვით თავისუფლების უკანონოდ აღკვეთა დანმაშავესთვის წინასწარი შეცნობით ორსული ქალის, არასრულწლოვნის ან უმწეო მდგომარეობაში მყოფის მიმართ ისჯება თავისუფლების აღკვეთით, ვადით შვიდიდან ათ წლამდე. საერთო ჯამში, სხვადასხვა პირის მიმართ ჩადენილი ამ დანაშაულისათვის პირს შეიძლება 2-დან 12 წლამდე თავისუფლების აღკვეთა შეეფარდოს.

ხშირია შემთხვევა, როცა ადრეულ ქორწინებას ხელს უწყობენ მშობლები, ზემოქმედებას ახდენენ შვილებზე, ან მონაწილეობენ ოჯახში ფიზიკურ თუ ფსიქოლოგიურ ძალადობაში.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 1501მუხლის თანახმად ქორწინების (მათ შორის, არარეგისტრირებულის) იძულება, ჩადენილი წინასწარი შეცნობით არასრულწლოვანის მიმართ, ისჯება ორიდან ოთხ წლამდე თავისუფლების აღკვეთით. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 1261მუხლით კი ოჯახში ძალადობა, სისტემატური შეურაცხყოფა, შანტაჟი არასრულწლოვანის მიმართ ისჯება საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ორასიდან ოთხას საათამდე, ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან სამ წლამდე.

რა შედეგები მოაქვს ადრეულ ქორწინებას?

ადრეული ქორწინებისას უმეტესწილად არსარულწლოვნებს ეზღუდებათ შემდგომი განათლების უფლება. უფრო მეტიც, ისინი აწყდებიან გადაულახავ ბარიერს არათუ უმაღლესი, არამედ საშუალო განათლების მიღების პროცესშიც. ამგვარი მდგომარეობა განსაკუთრებით ორსულობისა და ბავშვის გაჩენის შემდგომ იჩენს თავს. მხოლოდ 2015 წელს განათლების მიღება 17 წლამდე ასაკის 408 არასრულწლოვანმა შეწყვიტა. სავარაუდოდ, ეს მონაცემი ზუსტი არ არის და რეალურად მათი რიცხვი უფრო მეტია. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ოჯახის შექმნის მიზეზით მხოლოდ მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ საჯარო სკოლებში 341-მა მოსწავლემ შეწყვიტა განათლების მიღება[1]. სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, 15-19 წლის ასაკში დაქორწინებული გოგონების თითქმის ნახევარს არანაირი განათლება არ აქვს მიღებული, 34%-ს კი აქვს მხოლოდ დაწყებითი განათლება. განათლების შეწყვეტა იწვევს მოზარდი გოგონების შემდგომი განვითარების მკვეთრ შეფერხებას, უმუშევრობასა და ეკონომიურ დამოკიდებულებას.

ადრეული ქორწინებისას მოზარდ გოგონებს სერიოზული პრობლემები ექმნებათ ჯანმრთელობის მხრივ. 18 წლამდე ასაკში დაქორწინებულ მოზარდ გოგონებში მატულობს სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების რისკი, ხშირია ორსულობასა და მშობიარობასთან დაკავშირებული გართულებები, დიდია ორსულობისა და მშობიარობის გართულებებით გამოწვეული სიკვდილიანობის ალბათობა, რადგანაც ამ ასაკში ორგანიზმი არ არის მზად ორსულობისა და შვილოსნობისათვის.

ადრეულ ასაკში დაწყებული სქესობრივი ცხოვრება სხვადასხვა დაავადების, მათ შორის, სიმსივნური დაავადებების, გამომწვევი რისკფაქტორიცაა.

---

[1] იხ. ,,ადრეული ქორწინება'', გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) საქართველოს ოფისის გამოცემა, საქართველო, თბილისი, 2014 წ.

მსოფლიოს მასშტაბით, განვითარებად ქვეყნებში ყოველ წელს 15-19 წლამდე ასაკის 70 000 გოგონა იღუპება ორსულობის ან მშობიარობის შემდგომი გართულებების

2010 წლის რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევის მიხედვით, საქართველოში აბორტის განსაკუთრებით მაღალი ხვედრითი წილი მოდის ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელ ქალებზე. მაგალითად, 15-19 წლის აზერბაიჯანელ გოგონებში გაცილებით უფრო მაღალია შობადობა (143), ვიდრე იმავე ასაკობრივი ჯგუფის ქართველ გოგონებში (30); 3,3 აბორტი მოდის ერთ აზერბაიჯანელ ქალზე, 1,5 - აბორტი - ერთ ქართველ ქალზე.

რა ვალდებულებები ეკისრებათ მშობლებს?

მშობლები ვალდებულნი არიან, სათანადო აღზრდა და განათლება მისცენ ბავშვებს. მშობლის მიდგომა: "ის ჩემი შვილია და მე როგორც გადავწყვეტ, ისე იქნება" ;"სხვას არა აქვს უფლება, ჩაერიოს" და ა.შ. მცდარი აზრია და კანონს ეწინააღმდეგება.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 172-ე მუხლის თანახმად, მშობლების ან მათი შემცვლელი პირების მიერ არასრულწლოვანი ბავშვების აღზრდისა და სწავლების მოვალეობათა ბოროტად შეუსრულებლობა, გამოიწვევს მშობლების ან მათი შემცვლელი პირის დაჯარიმებას 100-დან 300 ლარამდე ოდენობით. ამ სამართალდარღვევის 1 წლის განმავლობაში გამეორება კი პირის დაჯარიმებას 500 ლარით.

ადრეული ქორწინება ისლამში

(რამინ იგიდოვი - სრულიად საქართველოს შეიხი)

ისლამში სავალდებულო ლოცვის შესრულებისათვის ასაკი დადგენილია, მაგრამ რაიმე ასაკობრივი მითითება ქორწინების შესახებ არ გვხვდება. ზოგიერთები „ქორწინებისათვის ზრდასრულ ასაკს" საკუთარი შეხედულებისამებრ, ასაკობრივი მოწიფულობის კვალობაზე ადგენენ. ისლამის თვალსაზრისით, ოჯახის შესაქმნელად აუცილებელია, ადამიანი მზად იყოს როგორც ფიზიკურად, ასევე მატერიალურად. მხოლოდ ყოველმხრივ მზადყოფნის შემთხვევაშია დასაშვები ქორწინება.

მიუხედავად იმისა, რომ ქორწინების ასაკად კანონით 18 წელია განსაზღვრული, აღნიშნული ასაკობრივი ზღვარის დაწესებაც კი ვერ უზრუნველყოფს ადრეული ქორწინების რისკის სრულ პრევენციას. ამასთან დაკავშირებით საზოგადოებრივი ცხოვრების ანალიზი გვაჩვენებს, რომ ხშირ შემთხვევაში 18 წლის ასაკის ახალგაზრდებიც

კი ვერ უმკლავდებიან ოჯახური თანაცხოვრებით გამოწვეულ სირთულეებს.

ისლამურ სარწმუნოებაში ქორწინებისათვის მისაღები და დასაშვები ასაკი განისაზღვრება ქვემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმებით:

1. ასაკობრივი ზრდასრულობა;

2. ბიოლოგიური ზრდასრულობა;

3. სოციალური ზრდასრულობა;

4. ფსიქოლოგიურ-მენტალური ზრდასრულობა.

ადამიანის ბიოლოგიური მომწიფება არ ნიშნავს, რომ იგი გონებრივად, ფსიქოლოგიურად და სოციალურად მზად არის ქორწინებისათვის.

რამდენად მზად არის საქართველოში 18 წლის ყველა ახალგაზრდა ოჯახის შესაქმნელად? რა პირობები უნდა ჰქონდეს ახალგაზრდას, რომ იგი მზად იყოს ოჯახის შესაქმნელად?

ამისათვის, პირველ რიგში, ეკონომური დამოუკიდებლობა და მზაობაა საჭირო, რაც დღევანდელ დღეს შეუძლებელია პროფესიული ან უმაღლესი განათლების გარეშე. ვინაიდან პროფესიის დაუფლებას და ეკონომიური სტაბილურობის მიღწევას წლები ესაჭიროება, აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ჩვენს ქვეყანაში, საშუალოდ 27-28 წლამდე ქორწინება არ არის რეკომენდებული.

სამწუხაროდ, დღევანდელ რეალობაში, რთული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ფონზე, აღზრდა-განათლების დეფიციტი, ასაკთან შეუსაბამო საქმიანობა და ა.შ. მთელ რიგ პრობლემებს უქმნის პიროვნების ჩამოყალიბებას. მოზარდის ასაკი, ანუ წლოვანება მატულობს, მაგრამ ხშირად მისი გონებრივი, სოციალური და ფსიქოლოგიური მოწიფულობის განმსაზღვრელი უნარები შესაბამისად არ ვითარდება. ახალგაზრდები, რომლებიც ფსიქოლოგიურად და ეკონომიურად მზად არ არიან ქორწინებისათვის, ვნებებზე და გრძნობებზე აყოლით ქმნიან ოჯახებს. შედეგად, მოკლე ხანში აზრთა უმნიშვნელო სხვადასხვაობის გამო წარმოექმნებათ პრობლემები, თავს იჩენს კონფლიქტური დაპირისპირება, ძალადობა და ბოლოს ოჯახი დანგრევამდე მიდის.

ისლამი ჰარმონიული რელიგიაა. შესაძლოა, ადამიანის მოთხოვნილებებს საზღვარი არ ჰქონდეს, მაგრამ ყველაფერი ემოციაზე და ვნებებზე აყოლით არ უნდა ხდებოდეს; ადამიანმა ჭკუით და ლოგიკით უნდა აკონტროლოს საკუთარი თავი - ამას გვირჩევს რელიგია. რადგან ადამიანის ბედნიერება და ჯანსაღი ოჯახის შექმნა

მომავალში ჯანსაღი შთამომავლობის საწინდარია.

ისლამის მიხედვით, ოჯახი პატარა საზოგადოებაა. ჯანსაღი ოჯახი იგივე ჯანსაღი საზოგადოებაა. ჯანსაღი და საღად მოაზროვნე შვილის აღზრდა და საზოგადოების ღირსეულ წევრად ქცევა ყველა მშობლის მოვალეობაა. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება მყარი და ბედნიერი ოჯახის ფორმირება.

გამოყენებული წყაროები:

1. „ადრეულ ასაკში ქორწინება: გამოწვევები და გადაჭრის გზები“- სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში, 2016 წელი;

   ხელმისაწვდომია: http://www.ombudsman.ge/ge/reports/;
2. „საქართველო - ადრეული ქორწინება“, მაია ბარქაია, ჯოანა ჰოარე, UNFPA, 2014წ.;
3. ,,საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი“ იხ.https://matsne.gov.ge/;
4. ,,საქართველოს სამოქალაქო კოდექსი“ იხ. https://matsne.gov.ge/;
5. ,,საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“ იხ.https://matsne.gov.ge/;
6. ,,ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ იხ. https://matsne.gov.ge/;
7. საჯარო დებატები „ადრეულ ასაკში ქორწინება: გამოწვევები და გადაჭრის გზები“ თბილისი, 2016 წ.;

   ხელმისაწვდომია : http://www.ombudsman.ge/ge/reports.

ERKƏN EVLİLİK

TBİLİSİ
2016 İL

Qarşıınızdkı braşur “İttifaq “21-ci əsr” və BMT-nin Əhali Fondunun Gürcüstan ofisinin (UNFPA) tərəfindən “Dinlər arası dialoq və erkən evliliyin qarşısının alınması üçün mobilizasiya” layihə çərşivəsində hazırlanıb.

Müəlliflər:

T. Qoqotişvili

P. Qaçeçiladze

Nəşriyyat reklam şirkəti “ADVERTISING GROUP”

İnsan hansı yaşda uşaq sayılır?

18 yaşına çatmamış. Hər bir insan uşaq sayılır. Ona qədər o hər şeyə qadir deyil, yəni onda o qabiliyyət yoxdur ki, öz başına tam həcmi ilə mülki hüquqları və öhdəliklərini dərk etsin və həyata keçirsin.

Erkən evlilik nədir və niyə o qeyri-qanuni sayılır?

Gürcüstan qanunvericiliyinə əsasən evlilik yaşı 18 yaşla müəyyən olunub. Bu o yaşdır ki, şəxs yetkin olur. Erkən evlilik, yəni uşaq yaşında evlilik qeydiyyatdan keçmiş və ya qeydiyyata alınmamış iki şəxs arasında olan ittifaqdır.

Erkən evlilik məcburi/zorla ola bilər:

- **Valideynlərin qərarı ilə/ məcburi**
- **Qaçırma nəticəsində**
- **Razılaşma yolu ilə**
- **Yetişməmiş razılıq və s.**

Hər bir halda, erkən evlilik ümumiyyətlə insan hüquqların xüsusəndə uşaqların hüquqlarının pozulması kimi qəbul olunur. Çünki uşağın yaşının azlığına nəzərə alaraq görərik ki, onda öz başına azad düşüncə əsasında razılıq vermək qabiliyyətinə malik deyil.

Gürcüstan qanunvericiliyinə əsasən 2017-ci ilin yanvarın 1-dək az yaşlıların evliliyi o şərtlə qəbul oluna bilər ki, öz razılığı əsasında olsun və məhkəmənin istisna qərarı ilə müəyyən səbəblərə görə (misal üçün uşaq dünyaya gəldikdə).
2018-ci ilin 1 yanvardan sonra isə evliliyin yaşı hər hansı bir istisna olmadan 18 olacaqdır.

Gürcüstanda erkən evlilik nə həddədir?

Erkən evlilik zamanı azyaşlılar adətən qızlar olur.

Gürcüstanda erkən evliliyin faktlarına həm şəhərdə, həmdə kəndlərdə (bölgələrdə) rast gəlmək olar. Amma səbəblər və hallar istər etniki, istər mənşəyinə görə, istər dini və coğrafi məskunlaşdıqları yerlərə görə fərqlidir. Erkən ən çox evliliyin halları etniki azərbaycanlıların və ermənilərin yaşadıqları bölgələrdə, həmçinində dağlıq Acara bölgələrində müşahidə olunur. Tədqiqatların nəticəsində müəyyən oldu ki, milli azlıqlarda qızlar arasında 32% 18 yaşa qədər evləndi, 5% 13-14 yaşa qədər, 16% isə 15-16 yaşa qədər evləniblər.

Gürcüstan qanun vericiliyinə əsasən ruhani tərəfindən icra edilmiş evlilik ritualının (nikahın) hüquqi qüvvəsi yoxdur.

Statistikaya görə 2015-ci il ərzində Gürcüstanda 15-19 yaşda olan yeniyetmə qızlar arasında 1000 nəfərdən 51-i hamilə oldu.

Gürcüstan cinayət məcəlləsinin 140-cı maddəyə əsasən, 16 yaşa çatmamış şəxslə bilə-bilə cinsi əlaqə və ya digər cinsi akt qurmaq 7ildən 9 ilə qədər azadlıqdan məhrum olunmağa səbəb olur.

Erkən evlənmiş qızların sayı oğlanlardan çox yüksəkdir. Erkən evlənmiş gənclər bir sıra problemlərlə rastlaşırlar, hansı ki, onların gələcəyinə bərpaedilməz/düzəlməz təsir qoya bilər.

O faktı da nəzərdə almaq lazımdır, ki yeniyetməliyə keçid dövründə - insan həyatında ən çətin dövrlərdən birini yaşayır və onun şəxsiyyəti, dəyərlər sistemi, daxili aləm, qərarvermə qabiliyyəti hələ tam formalaşmayıbdır.

Erkən evlilik ağır nəticələrlə üzləşir. Belə ki, sosial və hüquqi cəhətdən təcrid, cəmiyyətdən izolasiya, psixi pozulma, alkaqol və ya narkotik maddələrə tərəf meyllənmək və s. hallara zəmin yaradır. Erkən evlilik edən qızlar ailədə zorakılığa və cinsi təcavüzə məruz qalırlar. Nəticədə boşanma və abort faktları vüsət almış olur.

Zorakılığın bir növü də evlənmək məqsədi ilə qız qaçırtmaqdır.

Evlənmək məqsədi ilə qız qaçırtmaq insanı azadlıqdan qanunsuz məhrum etmək sayılır. Gürcüstan cinayət məcəlləsinin 143-cü maddəsinə əsasən bilərəkdən hamilə qadını, az yaşlını və ya aciz vəziyətdə olan birini qaçırtmaq azadlıqdan qeyri-qanuni məhrum etmək hesab olunur və həmin şəxs 7 ildən 10 ilə qədər azadlıqdan məhrum etməklə cəzalandırılır. Ümumilikdə başqa şəxslərə qarşı bu cinayətlərə görə şəxs 2 ildən 12 ilə qədər azadlıqdan məhrum oluna bilər.

Bir çox hallarda elə valideynlərin özləri erkən evliliyə şərait yaradırlar, övladlara təzyiq göstərirlər, ailədə fiziki və ya psixoloji zorakılığın iştrakçıları olurlar.

Gürcüstan cinayət məcəlləsinin 150[1] bəndə əsasən məcburi evlilik (həmçinin qeydiyatsız evlilik), az yaşlıya qarşı bilərək törətmək 2 ildən 4 ilə qədər azadlıqdan məhrum etməklə cəzalandırılır.
Gürcüstan cinayət məcəlləsinin 126[1] bəndinə əsasənailədə zorakılıq, sistematiq-mütəmadi olaraq təhqir, az yaşlıya qarşı şantaj, ictimaiyyətin xeyrinə 200-dən 400 saata qədər işləməklə və ya 1 ildən 3 ilə qədər azadlıqdan məhrum etməklə cəzalandırılır.

Erkən evlilik nə ilə nəticələnir?

Erkən evlilik zamanı az yaşlıların əksəriyyəti gələcək ali təhsili davam etdirə bilmir. Nəinki ali təhsil almaq daha çox onlar orta məktəbi də tam başa vura bilmirlər. Bu cür hallar daha çox hamiləlik və ya uşaq dünyaya gəldikdən sonra baş qaldırır. Tək 2015-ci ildə 17 yaşa qədər 408 az yaşlı təhsili tərk etdi. Bəzi fikirlərə görə qeyd olunmuş statistik məlumat dəqiq deyil, bəlkə say real olaraq daha çoxdur. Son beş il ərzində Marneuli rayon üzrə 341 məktəb tələbəsi ailə qurmaq səbəbi ilə təhsil almağı dayandırdı. Statistik məlumatlara əsasən 15-19 yaşda ailə qurmuş qızların yarısı heç biri təhsil almayıb, 34% sadəcə ibtidai təhsilə malik olub. Təhsilin dayandırılması yeniyətmə qızlar arasında gələcək inkişafında kəskin maneçilik törədir, işzisliyə və iqtisadı asılılığa məruz qalmış olurlar.

Erkən evlənən qızların sağlamlığında da ciddi problemlər yaranır. 18 yaşa qədər ailə qurmuş qızlar arasında cinsi əlaqə ilə yoluxucu xəstəliklərin riski artır, hamiləlikdə və doğumla bağlı ağrılar tez-tez olur. Yeniyətmə dövründə hamiləliyin və doğuşda baş vermiş ağrılardan ölümün riski daha çoxdur. Çünki bu yaşda orqanizm hamiləliyə və uşaq formalşdırmağa hazır deyil.

Dünya miqyasında inkişaf etmiş ölkələrdə hər il 15-19 yaşlarda hamiləliyin və doğumluğun sonrakı ağırları (fəsadları) nəticəsində 70 000 qız uşağı dünyasını dəyişir.

2010-cu ilin reproduktiv sağlamlıq tədqiqatına əsasən, Gürcüstanda abort hallarının çox hissəsi milli azlıqlarda müşahidə olunur. Misal üçün 15-19 yaşlı Azərbaycanlı qızlar (143 hal) arasında doğuşhalları Gürcü qızlarla (30) müqayisədə çoxdur. Nəticədə hesblamalara görə 3,3 bir azərbaycanlı qız, 1,5 bir isə gürcü belə hallarla üzləşir.

---

[2] İzləyin. Gürcüstan, erkən evlilik, BMT-nin əhali fondunin (UNFPA) Gürcüstandakı ofisin çapı . Tbilisi 2014.

Valideynlərin nə öhdəlikləri vardır?

Valideynlərin öhdəsindədir ki, övladları lazımi kimi böyüdüb onları tam təhsilli etsinlər. Valideynin övlada baxışı: “O mənim övladımdır və mən nə cür də qərar versəm o cür də olacaqdır”; “Başqasının haqqı yoxdur qarışsın” və s. bu kimi fikirlər səhvdir və qanuna da ziddir.

Gürcüstan administrativ İnzibati Xətalar kodeksin 172-ci bəndinə əsasən, valideynlərin və ya onları əvəz edən şəxsləri tərəfindən azyaşlı uşaqların təhsil və təlim hüququnu istismar etmək, valideynlər və ya onları əvəz edən şəxslər 100-dən 300 lariyə qədər cərimələnə bilərlər. Eyni səhvi il ərzində ikinci dəfə törətdikdə şəxs 500 lari məbləğində cərimələnirlər.

İSLAM VƏ ERKƏNEVLİLİK

(Ramin İgidov – Bütün GürcüstanınMüsəlmanları İdarəsinin şeyxi)

İslam dini ibadət üçün yaş təyin etdiyi kimi evliliyin üçün konkret heç bir yaş həddi təyin etməyibdir. Amma təəssüflə bəzən evliliyin yaşının bir tək xronoloji baxımdan “həddi buluğ” yaşına yetişməni əsas götürənlər var.

İslam görə evlilik bir şəxsin ailə qurmaq üçün qüdrət və imkan tapdığı, hər cəhətdən evliliyə hazır olduğu təqdirdə icazə verilir. Qüdrət əldə etdikdə isə evliliyi təxirə salmadan həyata keçirmək tövsiyə olunur. Hədislərdə evliliyin Peyğəmbərimizin (s) sünnəti (yolu) olduğu qeyd olunur. Ancaq, İslam dini evliliyə həddi-buluğ yaş həddi qoymayıb, çünki bu məsələ bir ölkədən digərinə və irqlərə görə, iqlim, irs, fizki, bioloji, psixoloji və sosial şərtlər baxımından fərqlənə bilər. Zaman baxımından evliliyin yaşının dəyişməsi də normaldır. Keçmişdəki yetkinlik yaşının şərtləri və evliliyə qüdrət tapmaq həddi inkişaf etmiş müasir zamanla fərqlənir.

Bəzən dövlətlərdə 17 ya 18 yaş evlilik üçün ilkin münasib yaş kimi göstərilir. Məncə bu da doğru deyil. Çünki real cəmiyyətimizi analiz edərkən görürük ki, bəzən 18 yaşında belə bəzi gənclər evllənib ailə qurmağa qüdrət əldə edə bilmirlər. Evlilik üçün yetkinlik yaşı aşağıdakılardan ibarətdir:

1. Xronoloji yetkinlik;
2. Bioloji yetkinlik;
3. Sosioloji yetkinlik;
4. Psixoloji-mental yetkinlik..

Gənclərin - istər oğlan olsun və ya qız bu dört baxımdan yetkinlik yaşına çatdığı təqdirdə evliliyə qüdrət və imkan əldə etmiş olur.
Əgər insan bioloji cəhətdən yetkinlik yaşına çatıbsa, bu o demək deyil ki, onun psixoloji, əqli və sosial vəziyyəti də qənaətbəxşdir. Gəlin bu gün real cəmiyyətimizi analiz edək:
Gürcüstanda gənclərin hamısı eyniylə məhz 18 yaşında evlilik həyatı yaşamağa nə dərəcədə qadir olurlar? Oğlanın evlənməsi üçün hansı şərtlər var? Evlənmək üçün ilk növbədə iqtisadi təminatın olmalıdır. Bunun üçün hansı mərhələləri keçməlisən? Orta məktəbi bitirməli, ali təhsil almalı, hərbi xidməti başa vurmalısan. Bir neçə il işləyəndən sonra, 27-28 yaşında evlənmək olar. Yəni 27 yaşına qədər ölkəmizdə gəncin evlənməsi real görünmür. Qızlar da buna yaxın.
Onu da qeyd edək ki, İslama görə elm öyrənmək hər bir qadın və kişiyə vacibdir evlənmək isə müstəhəb. Evləndikdən sonra da ailənin nəfəqəsi (təminatı, dolanışığı) daha vacibdir. Belə şərait olmadığı təqdirdə evlilik məsuliyyətinin öhdəsindən gəlinmədiyindən məsləhət görülmür.
Təəssüflə bu gün yaşadığmız cəmiyyətdə görürük ki, ekonomik durum, qeyri düzgün təlim və tərbiyə, yaşına uyğun məşğuliyyətin olmaması və s. müxtəlif səbəblər üzündən yuxarıda qeyd etdiyimiz yetkinlik sahələri bir-birini tamamlamır. Bəzən biri digərini üstələyir. Gəlin baxaq, Gürcüstan yeniyetməsinin xronoloji yaşı il-bəil artdıqca digər əqli (mental), sosioloji yaşları da arta bilirmi? Xeyr, arta bilmir. Cəmiyyətimizdə uşağın hər dörd yaşı nadir hallarda bərabər inkişaf edir.
Yəni psixoloji baxımdan və ailənin iqtisadi cəhətdən təmini sahəsində ailənin kişisi və gələcəyin atası olmağa hazır olmayan gənclər bioloji baxımdan şəhvani hissləri oyandığından evlənmək fikrinə düşür. Nəticədə erkən evləndikdən az sonra müəyyən ailə məişət zəminində problemlər yaşanmağa başlayır. Ailəni idarə etməyi və evdarlığı bacarmayan cütlük arasında zorakılıq halları və boşanmalar qarşıya çıxır.
İslam insan tələbatları ilə harmoniya təşkil edən ümumbəşəri dindir. Dinimizə görə insanın təbii ehtiyaclarının qarşısına heç bir şəkildə sədd çəkilməməlidir. Sadəcə bütün emosional və şəhvani hisslərin ağıl və məntiqə tabe olaraq onun kontrolu çərçivəsində yaşaması tapşırılır. Çünki insanın xöşbəxtliyi, sağlam ailə sahibi olması, gələcəyə sağlam övlad bəxş etməsi daha önəmlidir. Başqa sözlə desək, ailə, islama görə, kiçik bir ictimaiyyətdir. Sağlam ailə sağlam cəmiyyət deməkdir. Sağlam övlad tərbiyə edib ictimaiyyətə təhvil vermək evliliyin məqsədi və hər bir valideynin borcudur. Yəni qüdrət dedikdə təkcə bioloji şəhvani hislər deyil, bütün bu məsələlər nəzərə alınmalıdır. Məhz bu halda cəmiyyətimizdə sağlam, sarsılmaz xöşbəxt ailələrin formalaşdığının şahidi olacağıq.

İstifadə edilmiş mənbələr:

1. "Erkən yaşda evlilik: Problemlər və həll yolları" – Xalq müdafiəçisinin xüsusi hesabatı".
   Mövcuddur: http://www.ombudsman.ge/ge/reports/
2. "Gürcüstan – erkən evlilik", Maia Barkaia, Joana Hoare, UUNFPA, 2014
3. "Gürcüstan cinayyət məcəlləsi". https://matsne.gov.ge/
4. "Gürcüstan mülki kodeks":https://matsne.gov.ge/
5. "Gürcüstan İnzibati Xətalar kodeksi":https://matsne.gov.ge/
6. "Ailədəzorakılığın qarşısı alınması, ailədə zorakılığın qurbanın mühafizə və yardım etmək": https://matsne.gov.ge/
7. İctimai debatlar "Erkən yaşda evlilik: Problemlər və həll yolları" Tbilisi 25 mart 2016-cı il":
   http://www.ombudsman.ge/ge/reports